დღეს: ნოემეჩშია

მეტრეველის, პაპავას, სტაშევსკაიას, ლაშხისა და გორბუნოვას წარმატებათა ამსახველი მასალები.

გუშინ

მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალური მატჩი ადგილობრივ და თბილისის დინამოელ ფეხბურთელთა შორის. გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 2:1. ბურთები გაიტანეს: მოსკოველთაგან — ეშტრეკოვმა (მე-17 წ.) და ევრიუუეხინმა (62-ე წ.), თბილისელთაგან — ხინჩაგაშვილმა (66-ე წ.).

უკანასკნელ საათს

◆ ტიბილისი ტორნაბი, (ინგლისი), 8 აგვისტო. ევროპის ნორჩ მაგიდის ჩოგბურთელთა ჩემპიონატში მოასპარეზე გოგონათა ფინალში ჩეხოსლოვაკიელებმა სძლიეს სსრ კავშირის ნაკრებს — 3:2. ჭაბუკებშიც ჩეხოსლოვაკიის გუნდმა აიღო I ადგილი: ანგარიშით 5:3 დაამარცხა შვეიცის ნაკრები. III ადგილზე არიან უნგრელები, IV — სსრ კავშირის ჭაბუკები.

1:0

დონეცკი, 7 აგვისტო. დღეს აქ გაიმართა სსრ კავშირის ... ფეხბურთის ჩემპიონატის მორიგი მატჩი: „შახტიორი“ — „ზენიტი“.

თამაშის ბედი გადაწყვიტა „შახტიორის“ მცველმა პოპოვმა, რომელმაც მე-10 წუთზე 35 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით გაიტანა ბურთი ლენინგრადელთა კარში — 1:0.

პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 155 (4149)

1970 წ. 9 აგვისტო. კვირა. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ოქრო — მთის წვერზე

ტაშკენტი, 7 აგვისტო. მეათასე მთამსვლელად, რომელმაც ლენინის პიკზე (7134 მ) შედგა ფეხი, კრასნოიარსკის კომბინის ქარხნის ამწეობი-მექანიკოსი ვ. ლეიახი მოგვევლინა. მას სამასსოვრო ოქროს ყეტონი გადაეცა.

პამირის ეს ერთ-ერთი უმაღლესი და უძნელესი მწვერვალი პირველად 1934 წელს დაიპყრეს ვ. აბალაკოვმა, კ. ჩერნუხამ და ი. ლუკინმა.



სურათზე: „სსრ კავშირის თასზე“ დაბრკოლებათა გადალახვაში გამარჯვებული ი. ზიაბრევი (უკრაინა) ასპარეზობისას.

ვ. უნ და-სინის ფოტო (საკადესი).

სსრ კავშირის ნაკრების გამარჯვებით

სოხუმი, 7 აგვისტო. აქ დამთავრდა წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ გდრ-ის, რუმინეთის, სსრ კავშირის ნაკრები გუნდები, აგრეთვე, საქართველოს გუნდი და საბჭოთა ქვეყნის სტუდენტთა ნაკრები, რომელიც ტურნირის მომავალი უნივერსიადისთვის ემზადება.

I ადგილი დაიკავა სსრ კავშირის ნაკრებმა.

გოგონები — ფინალში

ტიბილისი ტორნაბი (ინგლისი), 7 აგვისტო. მიდლსბროს მახლობლად მდებარე ამ პატარა ქალაქში მიმდინარეობს ევროპის ნორჩ მაგიდის ჩოგბურთელთა ჩემპიონატი. ბრინჯაოს მედლები უკვე გადაეცათ უნგრელ გოგონებს, რომლებმაც III ადგილისთვის ბრძოლაში სძლიეს რუმინელებს — 3:0. უძლიერესთა ექვსეულში მომდევნო ადგილები დაიკავეს ინგლისისა და გფრ-ის წარმომადგენლებმა, ოქროს მედლებისთვის კი გუნდურ ჩათვლაში ერთმანეთის პირისპირ დადგებიან სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები. ფინალის გზაზე საბჭოთა გოგონებმა დაამარცხეს ინგლისის მეორე გუნდი (3:0), საბერძნეთის (3:0), გფრ-ისა (3:1) და უნგრეთის (3:2) ნაკრები კოლექტივები.

სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები უფრო მოკრძალებული შედეგებით დაკმაყოფილდა: მან ბრინჯაოსთვის ბრძოლაც კი წააგო უნგრელ თანატოლებთან — 1:5. ნახევარფინალურ ქვეჯგუფში საბჭოთა ჭაბუკებმა აჯობეს რუმინელებსა (5:4) და გფრ-ის (5:1) წარმომადგენლებს, მაგრამ გადამწყვეტი მატჩი წააგეს ჩეხოსლოვაკიელებთან — 2:5.

ფინალში ჩეხოსლოვაკიის ნაკრები ეთამაშება შვედებს, რომლებმაც გაიმარჯვეს მეორე ქვეჯგუფში (ყერძოდ, მათ დაამარცხეს უნგრელები — 5:2).

მარლენ კაკაბე ჩემპიონია

ოდესა, 8 აგვისტო. სსრ კავშირის პირად-გუნდურ საუწყვრო ჩემპიონატში ქვეყნის ყველა საუკეთესო ტყვიის მსროლელი ჩაება, ვინაიდან უმაღლეს დონეზე ეს არის ბოლო ტურნირი სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადამდე.

ცეცხლის ხაზზე გამოვა საქართველოს რამდენიმე სპორტსმენიც, რომლებიც სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების, „დინამოსა“ და დოსაფის ნაკრებ გუნდებში არიან.

პირველივე დღეს გაგვახარა თბილისელმა მ. კაკაბეკ, რომელმაც პისტოლეტით სროლაში სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა.

... ...

ბერლინი, 8 აგვისტო. ... ...

სპორტული დიდების ფურცლები





ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ოცნებობდა ჯანრთელი, მტკიცე ნებისყოფის, სიცოცხლის მოყვარული ადამიანების აღზრდაზე, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ძლიერებას განამტკიცებდნენ. საბჭოთა ქვეყანაში მილიონობით სპორტსმენია. ჩვენში სპორტის განვითარების გზებზე, პირველ გამარჯვებებზე, პირველ საბჭოთა ოქროს მედალოსნებზე მოგვითხრობს ახალი კინოფილმი „სპორტული დიდების ფურცლები", რომელიც დოკუმენტური ფილმების ცენტრალურ სტუდიაში შექმნა რეჟისორმა კ. რუშნიცკიმ.

აი, ეკრანზე გაცოცხლებული კინოკადრები საბჭოთა სპორტის პირველ ნაბიჯებს გვაცნობენ...

1919 წლის მაისში მოსკოვში საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა ფიზკულტურელთა პირველი საკავშირო აღლუმი მიიღო.

აი, ისევ იშვიათი კინოკადრები: 1928 წელს წითელ მოედანზე მოეწყო მოსკოველ ფიზკულტურელთა აღლუმი, რომელმაც დასაბამი დაუდო სპორტულ მიღწევათა მასობრივ დათვალიერებებს. მაშინ ბევრი რამ პირველად ხდებოდა.

1928 წელს „დინამოს" პირველ სტადიონზე ჩატარდა პირველი საკავშირო სპარტაკიადა, რომელშიც საბჭოთა ქვეყნის ყველა რესპუბლიკის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

იმ წლებში ჩვენ პირველად ვმასპინძლობდით საკუთარ სტადიონებზე უცხოელ სტუმრებს. პირველი გამარჯვება ევროპელ მძლეოსნებთან... აი, ეკრანზე ვხედავთ სახელგანთქმულ საბჭოთა მორბენლებს ძმებს ზნამენსკეებს.

სწორედ იმ წლებში იღებს სათავეს საბჭოთა კავშირის დღეს უკვე პოპულარული საფეხბურთო კლუბების—„დინამოსა" და „სპარტაკის" სპორტული დიდება.

1940 წლისთვის ფიზკულტურელთა რიცხვი 5 მილიონამდე გაიზარდა. სსრ კავშირის 44 რეკორდი საუკეთესო მსოფლიო მიღწევებს სჯობდა...

ამ ფილმში მაყურებლის თვალწინ ბევრი უნიკალური კადრი ჩაივლის.

1948 წელი. ფინეთის ქალაქი ტამპერე. პირველი საბჭოთა ქალი, რომელმაც ციგურებით სწრაფრბენაში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის სახელი მოიპოვა, მარია ისაკოვა იყო. მაყურებელი ამ ფილმში მასაც შეხვდება.

იმავე ფინეთის სტადიონზე, ჰელსინკში, 1952 წელს გაიხსნა საბჭოთა სპორტსმენთა ოლიმპიური ოქროს ანგარიში. ნინა პონომარიოვა-რომაშკოვამ ჩემპიონის წოდება მოიპოვა ბადროს ტყორცნაში.

კინოსურათი მაყურებელს აცნობს ოლიმპიურ ჩემპიონს ვ. კუცს, განთქმულ ძალოსანს ი. ვლასოვს.

ეკრანზეა 1964 წლის ინსბრუკი. ზოციგურავეთა ახპარეზობის სტარტზე ოთხჯერ გამოვიდა ჩელიაბინსკელი ახპირანტი ლიდია სკობლიკოვა და ყველა გარბენმა მას ოქროს მედალი მოუტანა. ასეთი რამ ოლიმპიადების ისტორიაში არ ახსოვს.

ტოკიო, მეხიკო, ახალი წარმატებები.

ოლიმპიურ გამარჯვებათა მატიანე ქარხნის სპორტულ სექციებში იწყება. საბჭოთა კავშირში თითქმის ყოველდღე ახალ-ახალი სპორტული ნაგებობები დგება მწყობრში. სახელმწიფო ამ მიზნით ყოველწლიურად 100 მილიონ მანეთს ხარჯავს.

სპორტის მოყვარულები ამ ფილმში შეხვდებიან სახელგანთქმულ ქართველ მძლეოსანს ნინო დუმბაძეს, რომელმაც ბადროს ტყორცნაში დიდხანს ატარა მსოფლიო რეკორდსმენის სახელი, მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მოკრივეს ვალერი პოპენჩენკოს და ნოვოსიბირსკის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის მუშაკს, მეცნიერებათა კანდიდატს, მსოფლიო ჩემპიონს ბიატლონში ვიქტორ მასატოვს, ევროპის ყოფილ რეკორდსმენს ჭოკით ხტომაში, პროფესორ ნიკოლოზ ოზოლინს და გორკელ სტუდენტს გარი ნაპალკოვს, რომელმაც 1970 წლის მსოფლიო პირველობაში (ჩეხოსლოვაკია) ოქროს ორი მედალი მოიპოვა.

ერთი სიტყვით, ეს არის ფილმი, რომელსაც ყველა სპორტის მოყვარული ინტერესით ნახავს.

ბ. რატომხაია.

მოსკოვი.

• • •

სურათებზე — კადრები ფილმიდან: 1928 წელი. ფიზკულტურელთა აღლუმი მოსკოვში; ძმები ზნამენსკეები; საინტერესო შეჯიბრება აქლემებით; ვარჯიში ოციან წლებში; ნინო დუმბაძე.

აფხაზეთის ფრენბურთელთა წარმატება

სოფლის სპორტსმენთა წლევანდელი საკავშირო თამაშები ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს ეძღვნება. მას, როგორც წესი, წინ უსწრებს რესპუბლიკური თამაშები. საქართველოში სოფლის სპორტსმენებმა უკვე მოსიხჯეს ძალა ჭადრაკში, შაშში, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, ძალოსნობაში, მძლეოსნობაში. ახლახან კი ფრენბურთელებმაც დაამთავრეს შეჯიბრება, რომლის ფინალური ნაწილი სოხუმში გაიმართა.

ქალთა ფინალში მონაწილეობა მიიღო ხუთმა გუნდმა, ხოლო ვაჟთა შორის — ექვსმა. პირდაპირ საოცარია, რომ ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიიღეს სამტრედიის ქალთა და ვაჟთა, ცაგერის ვაჟთა და სამხრეთ ოსეთის ქალთა კოლექტივებმა, რომლებმაც ზონალურ ტურნირებში თავი არ დაზოგეს ფინალის საგზურების მოპოვებისთვის. ამ გაუგებარ ფაქტზე „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი იმსჯელებს და საკადრისსაც მიუზღავს „დეზერტირებს".

ქალთა ფინალში დაუმარცხებლად იასპარეზა აფხაზეთის ნაკრებმა. მან ოთხივე შეხვედრა მოიგო (აჭარის, გარდაბნის, ზუგდიდისა და მარნეულის გუნდებთან) და დამსახურებულად მოიპოვა პირველობა. II საპრიზო ადგილი წილად ხვდათ აჭარის წარმომადგენლებს (3 მოგება, 1 წაგება), III — გარდაბნელებს (2 მოგება და 2 წაგება).

ზუგდიდელებმა მხოლოდ ერთი მატჩი მოიგეს და IV ადგილს დასჯერდნენ. არც ერთი შეხვედრა არ მოუგია მარნეულის ნაკრებს და იგი, ცხადია, ბოლო, V ადგილზე დარჩა.

ვაჟთა ფინალში თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფრენბურთელებიც მოხვედრილიყვნენ. სტუდენტებმა ყველა შეხვედრა მოიგეს, მაგრამ ისინი უკონკურსოდ თამაშობდნენ. I ადგილი მოიპოვა აფხაზეთის ნაკრებმა, რომელმაც მხოლოდ სტუდენტებთან იწვნია მარცხი. აფხაზეთის გუნდმა დაამარცხა აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ყვარლისა და ახალქალაქის კოლექტივები. II ადგილზე გავიდა აჭარის გუნდი, III — ყვარლისა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ყვარლელთა კარგი თამაში. III ადგილი მათთვის უთუოდ დიდი წარმატებაა, ვინაიდან მანამდე ისინი სოფლის ფრენბურთელთა შორის ერთობ მოკრძალებული შედეგებით კმაყოფილდებოდნენ. ახლა კი ყვარლელთა გუნდის ორი წევრი — ვ. კახნაძე და ა. ხატიაშვილი „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ნაკრებში კანდიდატებად არიან შეყვანილი.

IV და V ადგილებზე შესაბამისად გავიდნენ ახალქალაქისა და სამხრეთ ოსეთის გუნდები.

ბ. ირინაული.

„რა არის ჰარგი და რა არის ცუდი..."

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ვ. ბუკინი გვიამბობს აფხაზეთის ორი პიონერული ბანაკის ცხოვრებაზე.

ბაბრა

— ნატაშა, შენ უკვე მეორე წელია ბანაკ „ენგურში" ხსვენებ. ესე იგი, მოგწონს აქაურობა?

— მე ზაფხულობით დიდი სიამოვნებით ჩამოვდივარ აქ მოსკოვიდან. რა სჯობს აქაურობას — ზღვა ორ ნაბიჯზეა, უამრავი კარგი მეგობარი მყავს. ეს დიდ რამეს ნიშნავს.

— შენ ჯერ 15 წლისა ხარ და უკვე გამოგზაურია საზღვარგარეთ...

— ძალიან მიყვარს რუსული ხალხური ცეკვები. წლეულს ჩვენი სკოლის მოცეკვავეთა კოლექტივი ჩეხოსლოვაკიაში იყო. მიხაროდა, როცა აცხადებდნენ: „გამოდის ნატაშა ნემოვა, საბჭოთა კავშირიდან!" ბანაკში მე მოცეკვავეთა წრე ჩამოვაყალიბე. ყველაზე აქტიურად ამ წრეში ლ. შაბალინა და ლ. ასლანოვა მეცადინეობენ.

— ალბათ სპორტითაც ხარ გატაცებული.

— მესამეთანრიგოსანი ვარ მაგიდის ჩოგბურთში. ბანაკში გვაქვს ამ სახეობის სექცია და, საერთოდაც, ფიზიკურზრდის ხელმძღვანელი ი. ფილიჩუკი ძალიან კარგად მუშაობს. ბანაკში შექმნილია სპორტკლუბი „ოლიმპი", უკვე ჩატარდა სპორტული ვიქტორინა, ტურისტული ლაშქრობები ბიჭვინთაში, ძველ გაგრაში, მოძრაი თამაშები რაზმებში, შეჯიბრება 60 მეტრზე რბენაში.

განსაკუთრებით კარგი იყო „მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში". თამაშობდნენ „ბრაზილია", „გფრ", „იტალია"... ტარდება მოჭადრაკეთა ტურნირი. უკვე გაირკვა პირველი რაზმის ჩემპიონის ვინაობა. ესაა ო. გოგობერიშვილი, რომელმაც ხუთივე მეტოქე დაამარცხა.

— თქვენს ბანაკში 255 პიონერია მოსკოვიდან, კრასნოდარიდან, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ისინიც შენსავით კმაყოფილი არიან?

— რა თქმა უნდა. აქ მშვენივრად ვისვენებთ. გაისადაც უთუოდ ჩამოვალ. დიდად მადლობელი ვართ ჩვენი ბანაკის უფროსის კ. უგრენელიძისა, რომელიც მზრუნველობას არ გვაკლებს.

ბაბუშერა

აქ კი სხვაგვარი მდგომარეობაა. მე შარშანაც ვიყავი პიონერთა ბანაკ „ნაკადულში", მაგრამ სურათი არც წლეულს შეცვლილა. ფეხბურთის მინდორი კვლავ მოუწესრიგებელია, კალათბურთის მოედანი ფაქტიურად არ არსებობს.

ალბათ სწორედ ამიტომაა ჩაშლილი მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობა. ბავშვებს ცურვას არ ასწავლიან, ლაშქრობები არ ტარდება. პიონერები ბანაკში „ცხრაკლიტულში" სხედან. მუშაობს ერთადერთი სექცია — ფრენბურთისა. თუ ფიზიკურზრდის მასწავლებელ შ. ზაალიშვილს (იგი თბილისის 63-ე სკოლაში ასწავლის) დავეჯერებთ, ბანაკში აბარებენ მშთ და „მზად ვარ სამშობლოს დასაცავად" კომპლექსების ნორმატივებს 60 მეტრზე რბენასა და სიმაღლეზე ხტომაში. მაგრამ ხტომის ორმო შოუშხადებელი აღმოჩნდა, ვერც 60 მეტრზე რბენაში შეჯიბრების ოქმებს მიაგნეს. არ არის გაფორმებული ფიზკულტურის კუთხე. არა აქვთ ხელყუმბარები, კალათბურთის ბურთები და სხვა, არ ღებულობენ სპორტულ ჟურნალ-გაზეთებს.

ასე უინტერესოდ ცხოვრობს 218 პიონერი (სხვათა შორის, სპარტაკიადის ჩატარებას აპირებდნენ, მაგრამ დებულება არ შუუდგენიათ და ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოც არ შეკრებილა).

ზაალიშვილს ვერც ეხმარება ვინმე, რადგან საზოგადოებრივ აქტივს იგი ვერ „ამზადებს". ბანაკის დირექტორი ვ. კოპალიანი განზე დგას.

• • •

საინტერესოა, რომ ორივე ბანაკი, რომლებზეც დღეს გიამბეთ, საქართველოს სსრ ელექტროსადგურებისა და ელექტროძრეველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის უწყებაში შედის. ვფიქრობთ, ამ კომიტეტის თავმჯდომარე ლ. ბაკურაძე საათანადო დასკვნებს გამოიტანს ჩვენი ნაამბობიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„პამირის საქართველოში“

საქართველოს მოსიმაღლე მთამსვლელთა ექსპედიცია ყირგიზეთის ქალაქ ოშში იმყოფება. შორს დარჩა მშობლიური თბილისი. ამ ექსპედიციაში, რომელიც ტაშკენტისა და ოშის გავლით პამირს მიეშგზავრება, თავი მოიყარეს ჩვენს რესპუბლიკაში ცნობილმა მთამსვლელებმა — სპორტის ოსტატებმა დ. შარაშენიძემ, გ. წერედიანმა, რ. გიუტაშვილმა, თ. ბერიშვილმა, ნ. ბაქრაძემ, აგრეთვე, ნ. ნემსიწვერიძემ, მ. ჭიჭინაძემ, ვ. მინდაძემ, შ. გაბისიანმა, გ. ახვლედიანმა, ხ. ბარლიანმა, გ. გურჩიანმა, ა. კვიციანმა, ი. ქარსელაძემ, დ. ცომაიამ, ბ. ბაკრაძემ და სხვებმა, სულ 40-მდე კაცმა. ექსპედიციის უფროსია სპორტის ოსტატი გ. უალაბეგიშვილი, ხოლო უფროსი მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ლ. ახვლედიანი. ექსპედიციას თან ახლავს ცნობილი ქართველი მწერალი ო. იოსელიანი. აქვე არიან საქართველოს ტელევიზიის კინოოპერატორები.

როგორც ცნობილია, წლევანდელი წელიწადი დიდი ლენინის საიუბილეო წელია და ჩვენი ქვეყნის მთამსვლელები ცდილობენ ახალ-ახალი წარმატებებით აღნიშნონ ეს დირსსახსოვარი თარიღი. მრავალფეროვანი და საინტერესოა მთამსვლელთა სეზონიც. ისინი მონაწილეობას მიიღებენ პამირისა და კავკასიონის ურთულესი მწვერვალების დალაშქვრაში, მოაწყობენ ტრავერსებს, სახიმაღლო ასვლებს ტექნიკურად რთული კედლებით და სხვ. სწორედ ამ მიზანს ისახავს საქართველოს მოსიმაღლე მთამსვლელთა პამირის ექსპედიციაც, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საკავშირო შეჯიბრებაში.

პამირის მთიანეთი ქართველი მთამსვლელებისთვის უცხო როდია. ჯერ კიდევ 1935 წელს შუა აზიის სამხედრო ოლქის მიერ მოწყობილ ლაშქრობაში, რომელიც მიზნად ისახავდა ლენინის პიკზე ასვლას (7134 მ), მონაწილეობდნენ ქართველი მთამსვლელები ალიოშა ჯაფარიძე და დ. წერეთელი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ წერეთელი და ლ. მარუაშვილი ადრეც იყვნენ პამირის ექსპედიციების შემადგენლობაში.

ქართველი მთამსვლელების განსაკუთრებული უურადღება პამირმა 50-ანი წლებიდან მიიპყრო. ამ დროისთვის ჩვენი რესპუბლიკის მთამსვლელებმა ურთულესი ასვლები მოაწყვეს კავკასიონზე და ახლა უკვე მიზნად დაისახეს სახიმაღლო ასვლებიც მოესინჯათ ძალა. ასპარეზმა კავკასიონიდან პამირისა და ტიან-შანის უმაღლესი მწვერვალებისკენ გადმოინაცვლა. ქართველ მთამსვლელთა პამირის ექსპედიციებს წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ო. გიგინეიშვილი. მისი მეთაურობით ქართველმა მთამსვლელებმა დიდი წვლილი შეიტანეს პამირის მთიანეთის შესწავლასა და ურთულეს მწვერვალთა დალაშქვრაში. 1954 წლიდან დღემდე ქართველი მთამსვლელების ნადავლს შეადგენს პამირის მწვერვალებზე მოპოვებული ოქროს 24 და ვერცხლის 19 მედალი.

და განა თაობიდან თაობას არ გადაეცემა ქართველი მთამსვლელების ჯ. შეძმარიაშვილის, თ. კუბანიძის, ი. გაბლიანის, მ. ხერგიანის, ჯ. და ხ. გუგავების, ლ., ზ. და ა. ახვლედიანების, მ. გვარლიანის, ბ. ბერგიანის, დ. ობოლაძის, ი. და ჯ. კახიანების, დ. დანგაძისა და სხვათა მამაცობის, გამბედაობის, ამტანობისა და გმირული შემართების ამბები?

და აი, წლეულს პამირზე შეტევა კვლავ გრძელდება...

საქართველოს ექსპედიციას გულთბილად შეხვდნენ ყირგიზეთის მეორე ქალაქის — ოშის მშრომელები. ექსპედიციამ ქალაქშივე, დასასვენებელი სახლის მწვანეში ჩაფლულ ეზოში, დაიწყო მოსამზადებელი საქმიანობა. მკაცრად შედგენილ დღის რეჟიმს ყველა სპორტსმენი იცავს. სისტემატურად ვარჯიშობენ, იწრთობიან რთული ლაშქრობისთვის. 10 ივლისს დილით ადრე ექსპედიციამ დატოვა ოში და გაეშგზავრა პამირის მყინვარებისკენ, ლენინის პიკის რაიონში.

...სვანური კოშკი დგას ოქტომბრის ყინვარის ენასთან. მაღლა გორაზე წითელი დროშა ფრიალებს, უფრო ქვემოთ რადიოხადგურია, რომლითაც კავშირს ვამყარებთ ქვეყანასთან. ყველას ახალისებს და ართობს ჩვენი რადიოსადგური. სულ ახლახან კინოოპერატორმა ი. კრეპსმა დაბადების დღესთან დაკავშირებით მისალოცი დეპეშა მიიღო თბილისიდან. ჩვენც ყველამ მივულოცეთ მას.

დიას, არც დღით და არც ღამით არ წყდება მუშაობა აქ — ოქტომბრის ყინვარის ძირში, სადაც დაბანაკდა საქართველოს მოსიმაღლე მთამსვლელთა პამირის ექსპედიცია.

ზემოთ სვანური კოშკი ვახსენეთ. არ გიკვირთ? სვანური კოშკი აქ 1960 წელს აუგიათ საქართველოს მთამსვლელთა პამირის ექსპედიციის მონაწილეებს.

— სახიმაღლო აკლიმატიზაცია რომ კარგად გადაიტანო, — ამბობს ლ. ახვლედიანი, — საჭიროა იმოძრაო. მაშინ, 1960 წელს, სვანური კოშკი, ჯერ ერთი, იმიტომ ავაგეთ, რომ მშობლიურ ბუნებასთან ახლოს გვეგრძნო თავი და, მეორეც, მიზანდასახულმა საქმიანობამ ხელი შეგვიწყო აკლიმატიზაციაში.

მეათე წელია რაც ამაუად დგას ყარა-ჯილგის ამ შდუმარეებით მოცულ ხეობაში ეს კოშკი. ვიღაცას შემდგომში უცდია მის გვერდით ასეთივე მეორე კოშკის აგება, მაგრამ ამაოდ დაშვრალა. ოშიდან საკმაოდ გრძელი გზა განვლეს მთამსვლელებმა, სანამ ყარა-ჯილგის ხეობაში ძირითად ბანაკამდე მიაღწევდნენ.

პამირში გადახვლა ოაზისების ზონიდან შეიძლება როგორც ჩრდილოეთიდან, ასევე აღმოსავლეთიდან. ჩრდილოეთიდან ერთი გზა მიდის ოშიდან, გადაკვეთს ალაის ქედს (ტალდიკის უღელტეხილი), ალაის ველს, იმიერ-ალაის ქედს (ყიზილ-არტის უღელტეხილი) და მიემართება ბადახშანის ავტონომიური ოლქის დედაქალაქისკენ.

ქართველი ალპინისტები სწორედ ამ გზით გაემართნენ

ქართული სპორტის ფურცლიდან

მასალები
შეკრიბა და
მოგვაწოდა
ვ. სიდამონიძემ

სათავად-აზნაურო სკოლის შენობას რომ აგებენ, იმ ადგილას და წყლეთის ქუჩის მახლობლად ველზე, ერთი კაცი ვიღაც „ბაბაჭუა“ კვირა—უქმე დღეებში ქმართავს ჭიდაობას და მაყურებელს თითო შაურს ახდევინებს. ამ კაცს ჭიდაობის გასამართავად მგონი არავისგან ნებართვა არ უნდა ქონდეს აღებული. ამ „ბაბაჭუას“ მიერ დაყენებული კაცები რეკავენ ხალხს, რათა ამათ ვისაც შაური არ გადაუხდიათ არ უცქერონ ჭიდაობას.

(„ივერია“. 1901 წ. № 53).

მთელ რუსეთში სახელ-განთქმული და დაუძლეველი მოჭიდავე, ვილიამ მოორი, რომელიც ეს ერთი ხანია ძმათა ნიკიტინების ცირკში ჭიდაობს და ბევრი საუკეთესო მოჭიდავე გალახა, აპრილის რვას დაეჭიდა თელავის მაზრის სოფელ საბუეს მცხოვრებს დათიკო რუსიმელ-მიქელაძეს, რომელმაც ხელის მოკიდების უმალვე ბურთივით ძირს დასცა. თუმცა წაქცევით ძალიან კარგად იყო წაქცეული, მაგრამ, როგორც თვით მოორმა, ისე მისმა თაყვანისმცემელებმა მოისურვეს ხელმეორედ დაეჭიდებინათ. ჯილდოდ დანიშნეს ხუთი თუმანი დამძლევისათვის.

11 აპრილს ხელმეორედ დანიშნა მათი ჭიდაობა, მაგრამ დახეთ საკვირველებას, ის, ვისაც თავი მოეკოსდა მსხვილი კლავებით და კისრით, ხელმეორედ დასცა დედა-მიწაზე მის მიერ ათვალისწუნებულმა პატარა ქართველმა და ხალხის სასხდომ სკამებისაკენ გადაჩეხა მოხერხებული კისრულ-მოგვერდით.

(„ივერია“. 1903 წ. № 80).

სამშაბათს, 15 აპრილს, იქნება კავკასიური ჭიდაობა, პირველისა და ყველასაგან ცნობილი კავკასიური მოჭიდავის კულა გლდანელისა და გამოჩენილი მოჭიდავე და ჰერკულესთან ვილიამ მოორთან (ზნამენსკისთან). ჭიდაობა იქნება ქართულად და დაძლეულად ითვლება ის, რომელიც ორივე მხრებით მიწაზედ იქნება დაწოლილი. ჭიდაობა დაიწყება მეორე განყოფილების შემდეგ 11 საათზე.

(„ივერია“. 1903 წ. № 81).

ოთხშაბათს, 16 აპრილს დიდი წარმოდგენა იქნება სამ განყოფილებად. მონაწილეობს მთელი დასი. სხვათაშორის იქნება სამი ჭიდაობა:

პირველი — ახლად მოწვეული გამოჩენილი მოჭიდავე რომო იჭიდავებს კავკასიურად ალექსი ცისკარიშვილთან.

მეორე — კავკასიური ჭიდაობა: საუკეთესო მოჭიდავის გიგო შანშიაშვილის (იგივე ქიზიყელი) გამოჩენილ მოჭიდავესთან გიორგი ოდიშვილთან.

მესამე — ჭიდაობის მოყვარულთა: ალექსანდრე გედევანიშვილისა და სანდრო ციციშვილისა.

(„ივერია“. 1903 წ. № 82).

ხუთშაბათს, 17 აპრილს, დანიშნულია წარმოდგენა. სხვათაშორის, იქნება ორი კავკასიური ჭიდაობა.

პირველი — განთქმული, ახლადმოწვეული მოჭიდავე რომო იჭიდავებს სახელოვან, უპირველეს კავკასიელ მოჭიდავე კულა გლდანელთან. ჯილდო 50 მანეთი.

მეორე — ლილოელი იჭიდავებს ვანო მიდელაურთან, ჯილდო 25 მანეთი.

(„ივერია“. 1903 წ. № 83).

პარასკევს, 18-ს, დიდი წარმოდგენაა დანიშნული, სხვათაშორის იქნება ოთხი კავკასიური ჭიდაობა:

პირველი — გიგო შანშიაშვილი (იგივე ქიზიყელი) იჭიდავებს კონსტანტინე მაისურაძესთან, ჯილდო 25 მანეთი.

მეორე — ალექსი გლდანელი (კულა გლდანელის ძმისწული) იჭიდავებს პორფირე გახოკიძესთან, ჯილდო 20 მანეთი.

მესამე — სვიმონ ქაჩლიშვილი იჭიდავებს კოლა მაისურაძესთან. ჯილდო ვერცხლის საათი.

მეოთხე — ჭიდაობის მოყვარულნი: სანდრო ციციშვილი იჭიდავებს სანდრო დალაქიშვილთან.

(„ივერია“. 1903 წ. № 84).

შაბათს, აპრილის 19-ს, დიდი წარმოდგენაა დანიშნული, სხვათაშორის იქნება ორი კავკასიური ჭიდაობა:

პირველი — კულა გლდანელი იჭიდავებს გამოჩენილ მოჭიდავე რომოსთან, ჯილდო — 100 მანეთი.

მეორე — გიორგი ოდიშვილი იჭიდავებს თელაველ მოჭიდავე ნასყიდა თახდილაშვილთან. ჯილდო 20 მანეთი.

ჭიდაობა იქნება მეორე განყოფილებაში.

(„ივერია“. 1903 წ. № 85).

კვირას, 20 აპრილს დანიშნულია უკანასკნელი წარმოდგენა: სხვათაშორის იქნება სპარსული და კავკასიური ჭიდაობა.

პირველი — სპარსული ჭიდაობა შედგება ვ. მოორისა და კულა გლდანელის შორის (რადგანაც 15 აპრილს კავკასიურ ჭიდაობაში გლდანელმა სძლია მოორს, ამისათვის მოორმა ისურვა ერთხელ კიდევ გამოჯიბრება გლდანელთან. სპარსულ ჭიდაობაში და გლდანელიც დასთანხმდა). ჯილდო — 100 მანეთი.

მეორე — კავკასიური ჭიდაობა (გიორგი ოდიშვილისა ს. კაზარაოვთან). ჯილდო — 20 მანეთი.

მესამე — ლილოელისა ო. აბრამიანთან — ჯილდო 20 მანეთი.

(„ივერია“. 1903 წ. № 86).

სამშაბათს, 22 აპრილს, დანიშნულია სხვათაშორის ორი ჭიდაობა:

პირველი — დაუძლეველი მოჭიდავის რომოსი და ცნობილი მოჭიდავე გ. ოდიშვილისა. ჯილდო 25 მანეთი.

ჭიდაობის მოყვარულთა — ჭიდაობა. ჯილდო ვერცხლის საათი.

(„ივერია“. 1903 წ. № 87).

დაბა აბასთუმანი. შვიდს ამა თვისას, ჩვეულებრისამებრ, გაიმართა ქართული სადილი მეორე ჭალაში ბ-ნ ბ. გ. ბებურიშვილის თაოსნობით, რომელზედაც ყველა ქართველს სთხოვეს დასწრება... სადილმა კარგად ჩაიარა. შემდეგ სადილისა დამსწრენი გაიყვნენ ორ ბანაკად და დაიწყეს ბურთის თამაში. შემდეგ ბურთის თამაშობისა, გაიმართა ჭიდაობა. ორივე მხარემ გამოიყვანა სამ-სამი ფალავანი ბიჭები. შემდეგ რვა საათზე დაიშალნენ ნასიამოვნები.

(„ივერია“. 1903 წ. № 174).

გუშინწინ, დიდუბეში დოღი იყო, რომელსაც მთავარმართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი, კავკასიის კავალერიის დივიზიის კომანდირი მისი იმპერატორებითი უმაღლესობა პრინცი ლუი—ნაპოლეონი, გენერლობა და მრავალი მაყურებელნი დასწრნენ... სხვებთან ერთად შტაბ-როსტმისტრის მხეიძის ცხენმა გაიმარჯვა, რომელმაც ორი ვერსი ორ წუთსა და ორმოცდაჩვიდმეტ წამში გაირბინა. საჩუქარი 300 მანეთი იყო.

(„ივერია“. 1903 წ. № 195).

ფოთში ბურთის თამაშობაში პირველ მაისს, როგორც დეპეშით გვატყობინებენ, ლელო გურულებს გაუტანიათ.

(„ივერია“. 1904 წ. № 105).



ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებელი ა. ვასილენკო ველოსიპედით მოგზაურობის დიდი ტრფიალია. ამ მოსკოველ პენსიონერს 64 წელი შეუსრულდა, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობს, მოგზაურობას ყველა ასაკი ემონება და ... ახლა ველოსიპედით ადგას გზას ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში.

ა. ვასილენკოს უკან დარჩა პოლონეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გზები, ივლისის ბოლოს კი იგი პრაღას ეწვია. შემდეგ მისი მარშრუტი უნგრეთზე, რუმინეთსა და ბულგარეთზე გადის.

სურათზე: ა. ვასილენკო პრაღაში.

ჩტკ — საკ.ლესის ტელეფოტო.

ოლიმპიადა მთვარეზე რომ ჩატარდეს...

მეხიკოს ოლიმპიური თამაშების წინ სპორტის სპეციალისტებს მოსვენებას არ აძლევდათ ერთი საკითხი: როგორ აიტანეს ოლიმპიელები უწვეულო სიმაღლეს და რა გავლენას მოახდენს იგი მათს სპორტულ მაჩვენებლებზე? ახლა საყოველთაოდ ცნობილია, რომ სიმაღლე არც ისეთი ხელშემშლელი პირობა ყოფილა მაღალი შედეგების მიღწევაში და ისიც, რომ სპეციალისტთა მაშინდელ შეშფოთებას არავითარი საფუძველი არ ჰქონია. მეხიკოში ბევრი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდი გაუმჯობესდა, გაცილებით მეტი, ვიდრე წინა ოლიმპიურ თამაშებში.

მექსიკის დედაქალაქის მაღალმთიანეთმა ფრანგული სპორტული გაზეთის „ეკიპის“ მიმომხილველს ჟ. ბერნარდეს ერთი მეტად ორიგინალური ანალიზისკენ უბიძგა. ჟურნალისტის გამოკვლევას, მართალია, არავითარი პრაქტიკული ღირებულება არა აქვს, მაგრამ სპორტის მოყვარულთათვის იგი მაინც საინტერესოა.

ბერნარდე თანამედროვე კაცია და მან თავისი გამოკვლევები ეპოქის ნოთხოვნილებათა დონეზე ჩაატარა. ჟურნალისტმა მიზნად დაისახა გაეთერკვია, თუ როგორი იქნება მაჩვენებლები, ოლიმპიური თამაშები მთვარეზე რომ ჩატარდეს. რა საშუალებებით აზუსტებდა ბერნარდე თავის მონაცემებს, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ის, რომ მან მუშაობის პროცესში დედამიწის ბუნებრივი თანამგზავრის ზედაპირის ფიზიკური თავისებურებანი მიიღო მხედველობაში, ვიცით.

და აი, გამოირკვა, რომ ვ. გრუმელის მსოფლიო რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში (228 სმ) მთვარეზე 768 სანტიმეტრამდე გაიზრდებოდა.

კიდევ უფრო საოცარი შედეგი მიიღო ბერნარდემ სიგრძეზე ხტომაში. საორიენტაციო ერთეულად მან მიიჩნია 820 სმ. ჩვენს პლანეტაზე უძლიერესი მძლეოსნები ამ შედეგს არც ისე ხშირად, მაგრამ მაინც აჩვენებენ. მთვარეზე 820 სანტიმეტრი თურმე 46 მეტრსა და 20 სანტიმეტრს უდრის. მაშასადამე, მთვარის ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულ მხტომელს შეუძლია ასეთ ზერეკორდს მიაღწიოს.

იმავე ჟურნალისტმა დაადგინა, რომ სამმხტომელის გასარბენი ბილიკი დაახლოებით 100 მეტრს უნდა უდრიდეს (ეს მანძილი აუცილებელია, რათა სპორტსმენმა საჭირო ინერცია მისცეს სხეულს), ხოლო რ. მათსონი ბირთვს დაახლოებით 130 მეტრზე ჰკრავდა.

თავის წერილს ჟ. ბერნარდე ამ სიტყვებით ამთავრებს: „მართალია, ციფრებს არა აქვთ დიდი სიზუსტის პრეტენზია, ვინაიდან გამოკვლევა მაინც ფანტაზიის სფეროში ტრიალებს, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ ჩვენმა შვილიშვილებმა უყურონ კიდეც ტელევიზიით მთვარის ერთ-ერთი ოლიმპიადის რეპორტაჟს“.

ჩვენი პოსტი

„გამარჯვების“ კროსი

საიგონის მარიონეტული მთავრობა ცდილობს მსოფლიოს დაუმტკიცოს, რომ იგი სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორიის სრულუფლებიანი მფლობელია და ყოველგვარ ხრიკს მიმართავს ამ მიზნით. ამას წინათ მოეწყო ველოკროსი, რომელშიც გამარჯვებულს სერჟანტ კიმ კუონგს გადაეცა სოლიდური პრემია და თასი.

მარიონეტულმა პრესამ ეს ამბავი დიდ პოლიტიკურ გამარჯვებად შეაფასა. თუ რა ვითარებაში მიმდინარეობდა ეს „ღონისძიება“, ამაზე კრინტი არავის დაუძრავს. ველოსიპედისტებს მთელს დისტანციაზე მიაცილებდნენ ტანკები, შეიარაღებული მოტოპატრულები და შეიარაღებულებიც კი.

რამდენიც გინდა, იჩხუბე

ამსტერდამის რესტორან „სტარკლუბში“ პატარა რინგია მოწყობილი. მაგარი სასმელით შეზარხოშებულ კლიენტებს ერთმანეთთან ანგარიშის გასწორებისთვის შეუძლიათ ამ რინგზე ავიდნენ და რამდენიც უნდათ, იჩხუბონ.

ამბობენ, ეს სანახაობა დიდ „სიამოვნებას ჰგვრის“ რესტორნის სტუმრებსო.

რედაქტორი მ. კაკაბაძე

„ლოკომოტივის“
სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

სსრ კავშირის
პირველობა
დღეს

I ჯგუფი

„ლოკომოტივი“ (თბილისი)
— „ალგა“ (ფრუნზე)
დასაწყისი 19 ს. 30 წ.

„მეგობრობის“ თასზე

ტალინი, 7 აგვისტო. დღეს აქ დამთავრდა ჭაბუკ ფეხბურთელთა (1956-1957 წ. წ. დაბადებულნი) საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი. „მეგობრობის“ თასს ამჯერად ერთმანეთს ეცილებოდნენ პოლონეთის, გდრ-ისა და სსრ კავშირის წარმომადგენლები. სსრ კავშირი 6 გუნდით ასპარეზობდა — აქ იყვნენ ლიტვის, ლატვიის, ლენინგრადის, ბელორუსიისა და ესტონეთის (ორი გუნდი) ჭაბუკები.

ტურნირის მონაწილენი ორ ქვეჯგუფად დაიყვნენ. პირველ ქვეჯგუფში ყველას აჯობეს ბელორუსიელებმა, რომლებმაც სამივე მატჩი მოიგეს საერთო ანგარიშით 9:0. მეორე ქვეჯგუფში I ადგილის პრეტენზიას ლენინგრადისა და ბელოსტოკის (პოლონეთი) გუნდები აცხადებდნენ. ლენინგრადელებმა ანგარიშით 4:1 დაამარცხეს ლიტველები, 5 ქულა მოაგროვეს 6-დან, თანაც საუცხო ბალანსით — 13:3.

და აი, დღეს გადამწყვეტ მატჩში ბელორუსიის ნაკრებმა დაამარცხა ლენინგრადელები — 2:1 (1:1).

ფორმენი მიზნისკენ მიიწევს

ეს მოხდა ნიუ-იორკში, „მედისონ სკვერ გარდენის“ რინგზე. მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონმა, ამერიკელმა ზანგმა ჯ. ფორმენმა ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა 32 წლის კანადელი ჯ. ჩუვალო. მოსალოდნელი ტრაგიკული ფინალის თავიდან ასაცილებლად არბიტრმა ბრძოლა მესამე რაუნდში შეწყვიტა: ფორმენის უპირატესობა აშკარა იყო.

ფორმენმა პროფესიულ რინგზე უკვე 22-ე გამარჯვება იზეიმა. ახლა იგი ემზადება პროფესიული რინგის ერთ-ერთი ლიდერის ჯ. კვორის წინააღმდეგ საბრძოლველად. თუ მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი აქაც წარმატებას მიაღწევს, მაშინ მას გადამწყვეტი ბრძოლა დარჩება მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონთან ჯ. ფრეზერთან.